# სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირის წარმოშობის რეგისტრაცია

## მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს და არსამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

## რას ნიშნავს რეგისტრაცია?

რეგისტრაცია არის სუბიექტის წარმოშობის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების და რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.

## რას გულისხმობს სამეწარმეო საქმიანობა?

სამეწარმეო საქმიანობა არის სუბიექტის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

## რას გულისხმობს არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა?

არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა არის სუბიექტის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, მოგების მიღების მიზნის გარეშე.

## მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელით და ვალდებულებებითვის დამოუკიდებლად აგებს პასუხს თავისი ქონებით.

იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) საქმიანობა, სავალდებულოდ უნდა დარეგისტრირდეს რესტრში. მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

## მეწარმე იურიდიული პირის რა სამართლებრივ ფორმებს იცნობს კანონმდებლობა?

კანონმდებლობით დადგენილია შემდეგი სამართლებრივი ფორმები:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – შპს;
2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – სპს;

3. კომანდიტური საზოგადოება – კს;
4. სააქციო საზოგადოება – სს;
5. კოოპერატივი.

**რა არსებითი განსხვავებაა აღნიშნულ სამართლებრივ ფორმებს შორის?**

ძირითადი განსხვავება გამოწვეულია პარტნიორთა ქონებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებით, კერძოდ სააქციო საზოგადოების აქციონერთა, კოოპერატივის მეპაიეთა და შპს–ის პარტნიორთა პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საზოგადოების კაპიტალში განხორციელებული შენატანის პროპორციულად, ხოლო სპს–ის პარტნიორები პასუხს აგენენ არა მხოლოდ შენატანით, არამედ მთელი ქონებით, სრულად, პირადად და სოლიდარულად. კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა ნაწილი საზოგადოების ვალდებულებებისთვის შპს–ის პარტნიორთა მსგავსად შეზღუდულად აგებს პასუხს (კომანდიტი), ხოლო პარტნიორთა ნაწილი სრულად აგებს პასუხს, მთელი ქონებით პირადად და შეუზღუდვად (კომპლემენტარი).

**ვინ შეიძლება იყოს განმცხადებელი  აღნიშნულ  სერვისზე და ვის უნდა მიმართოს მან სერვისის მისაღებად?**

განმცხადებელი სერვისზე შეიძლება იყოს უშუალოდ დაინტერესებული პირი (დასარეგისტრირებელი სუბიექტის ერთ–ერთი პარტნიორი/დამფუძნებელი, ხელმძღვანელობასა ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი) ან დაინტერესებული პირის წარმომადგენელი.

**ვის მივმართო  მეწარმე ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნით?**

მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბათუმის იუსტიციის სახლს. თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება ფრონტ ოფისის ოპერატორის მიერ);
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ყველა პარტნიორის/დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული შეთანხმება/წესდება.
4. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე);

იმ შემთხვევაში თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული  წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენეტის ასლი.

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი რეგისტრირდება პარტნიორის/დამფუძნებლის, ხელმძღვანელის/წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მისამართისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული პირების საკუთრებას, დამატებით წარმოსადგენი იქნება აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობა ან სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული ხელშეკრულება ამ ნივთით სარგებლობის შესახებ (იჯარის, ქირავნობის, თხოვებისა ან სხვა).
- ✓ იმ შემთხვევაში თუ იურიდიული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იმავდროულად არ არის საზოგადოების დამფუძნებელი, დამატებით წარმოსადგენია მისი თანხმობა აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

**რა წესით უნდა იქნეს დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია?**

სარეგისტრაციო დოკუმენტი შესაძლებელია დამოწმებულ იქნეს როგორც სანოტარო წესით, ისე საგენტოს შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა).

**ბოქსის ინფორმაცია:**

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დო-კუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

**ვადა  და საფასური:**

| მომსახურების ვადა | მომსახურების ტარიფი |
|---|---|
| 1 სამუშაო დღეში | 100 ლარი |
| იმავე დღეს | 200 ლარი |

**ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.**